მოწვევა სატენდერო წინადადებების მიღების შესახებ

კომუნალური ინფრასტრუქტურა ტურიზმისა და გარემოს გაუმჯობესებისათვის - იმერეთის რეგიონი კონტრაქტი IM-1/P5 სამტრედია (კანალიზაცია 1, სანიაღვრე წყლები)	**სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადა 24 დეკემბერი,2024 13:00 საქართველოს დროით**

ქვეყანა:	**საქართველო**
No:	**IM-1/P5**
KfW შესყიდვის ნომერი.:	**511730**
პროექტის აღმასრულებელი (PEA):	**შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"**

შპს **საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ** KfW-საგან მიიღო დაფინანსება პროექტისათვის: **კომუნალური ინფრასტრუქტურა გარემოსა და ტურიზმის გაუმჯობესებისათვის (იმერეთის რეგიონი)**. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში დაგეგმილია ქ. სამტრედიაში კანალიზაციისა და სანიაღვრე წყლის ქსელების მშენებლობის კონტრაქტის **IM-1/P5** დაფინანსება.

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, წარმოადგინონ ტექნიკური და ფინანსური წინადადებები შემდეგი სამუშაოების მშენებლობისათვის:

კანალიზაციის ქსელი:

- სამტრედიის ცენტრიდან გამწმენდ ნაგებობამდე მთავარი კოლექტორის მშენებლობა საერთო სიგრძით 5 კმ (DN 600);
- 2 სატუმბო სადგურისა და დაახლოებით 5 მცირე გადამქაჩი სადგურის მშენებლობა მაღალი ნიშნულებისა და წყლის არხების გადაკვეთის მიზნით;
- თვითდენითი ქსელის მოწყობა საერთო სიგრძით დაახლოებით 56 კმ;
- წნევიანი მილების მოწყობა საერთო სიგრძით დაახლოებით 1.2 კმ;
- სათვალთვალო კამერების (PP, HDPE, რკინა-ბეტონი) მოწყობა, დაახლოებით 1,600 ცალი;
- სახლის დაერთაებების, მათ შორის, მილებისა და სათვალთვალო კამერების (Ø 400) მოწყობა; დაახლოებით 2680 ცალი.

სანიაღვრე წყლები

- სანიაღვრე წყლის სადრენაჟო მილების (გოფრირებული HDPE) მოწყობა საერთო სიგრძით 5.6 კმ;
- ახალი ბეტონის სანიაღვრე სადრენაჟო არხების მოწყობა საერთო სიგრძით 21 კმ;
- არსებული სანიაღვრე არხების გასუფთავება, დაახლოებით 3 კმ;
- ბეტონის ჭების მოწყობა;
- ბეტონის არხების მშენებლობა.

სამუშოები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო რეგულაციების სრული დაცვით. სამუშაოები უნდა დასრულდეს 24 თვეში. 24 თვის გასვლის შემდეგ იწყება 12-თვიანი დეფექტების ცნობის პერიოდი.
კონტრაქტ(ებ)ი დაიდება იმ პრეტენდენტთან ან პრეტენდენტებთან, რომლებიც ყველაზე დაბალ ფასს წარუდგენენ დამკვეთს იმ პირობით, რომ შერჩეული პრეტენდენტ(ებ)ი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს. თუ პრეტენდენტებს სურთ ფასდაკლების შემოთავაზება კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, მათ ფასდაკლების სურვილი უნდა დააკონკრეტონ "სატენდერო წინადადების შესახებ წერილში".

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო კონკურენტუნარიანი სატენდერო პროცედურის შესაბამისად. საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღებულია KfW-ს სახელმძღვანელოდან (საკონსულტაციო მომსახურებების, სამუშაოების, დანადგარების, საქონლისა და არასაკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვა პარტნიორი ქვეყნებიდან).

სამუშოები წარმოდგენილი იქნება KfW-ს სტანდარტულ სატენდერო დოკუმენტებში. სამშენებლო კონტრაქტი გაფორმდება FIDIC-ის საკონტრაქტო პირობების შესაბამისად (FIDIC ვარდისფერი წიგნი).

დაინტერესებულ და უფლებამოსულ პრეტენდენტებს შეუძლიათ, მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და სატენდერო წინადადებების პაკეტი ინგლისურ ენაზე და ელექტრონული ფორმით უფასოდ, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემდეგ:

info.procurement@water.gov.ge

ყველა ელექტრონული წერილის ასლში უნდა იყოს:

e.piranishvili@water.gov.ge

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მკაფიოდ მონიშნულ კონვერტებში და ჩაბარებული შემდეგ მისამართზე:

24 დეკემბერი, 2024, 13:00, საქართველოს დროით

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
ადრესატი: გუგა კაკაბაძე, კომპანიის დირექტორის მოადგილე; ეთერ ფირანიშვილი, საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი
ანა პოლიტკოვსკაიას 5
0186 თბილისი,
საქართველო

დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება